20

# სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ"

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ

_______________ ნოე ქაშიბაძე

10.05.2013 წელი

## აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის ფინანსური აუდიტის ანგარიში № 7/129

(01.01.2012-01.01.2013)

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს

სახელმწიფო აუდიტის სამსახური № 8 STATE AUDIT OFFICE OF GEORGIA

21

შინაარსი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორთა დასკვნა....................................................................3
სხვა მნიშვნელოვანი საკითხები........................................................................................................4
ფორმა N1 - ბალანსი .......................................................................................................................5
ფორმა N2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ................................6
ფორმა N2.1 - ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ.......................7
ფორმა N3 - ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ ..................................................................10
ბუღალტრული ანგარიშგების შენიშვნები ....................ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.12

1. ზოგადი ინფორმაცია.................................................................................................12
2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები .........................................................112
3. *წინა პერიოდის ნაკლოვანებები*......................................................................................12

№ 8 სახელმწიფო აუდიტის სამსახური STATE AUDIT OFFICE OF GEORGIA

## სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის (შემდეგში დეპარტამენტი) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსს 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშგებებს: ანგარიშს ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, ანგარიშს წმინდა ღირებულების შესახებ, ანგარიშს არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიშს არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ და ანგარიშს ავტომანქანების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ.

## ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

წარმომადგენლობის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიანად წარდგენაზე "საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ" ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანების შესაბამისად.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით, ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

## აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსური ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას,



სახელმწიფო აუდიტის სამსახური
STATE AUDIT OFFICE OF GEORGIA
№ 8

რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამინისტროს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

გვჯერა, ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია უპირობო აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად

*უპირობო მოსაზრება*

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი 2012 წლის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის ფინანსური ანგარიშგება მთლიანად მომზადებულია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით და ყველა მნიშვნელოვანი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის ფინანსურ მდგომარეობას 2012 წლის 31 დეკემბრისათვის.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური STATE AUDIT OFFICE OF GEORGIA № 8

24

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტი

ფორმა N1 - ბალანსი

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს

| დასახელება | განმარტება | 31/12/2011 | 31/12/2012 |
|---|---|---|---|
| *აქტივები* | | | |
| I. ფინანსური აქტივები და სხვა დებიტორული დავალიანებები | | 0 | 0 |
| II. არაფინანსური აქტივები | | | |
| შენობა-ნაგებობები | 3 | | 815,265 |
| მანქანა დანადგარები და ინვენტარი | | 23,546 | 19,227 |
| სხვა ძირითადი აქტივები | | 342 | 285 |
| არაწარმოებული აქტივები | | | |
| ბალანსი | | **2,388** | **834,777** |
| *ვალდებულებები და კაპიტალი* | | | |
| I. ფინანსური ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები | | 0 | 0 |
| II. კაპიტალი | | | |
| წმინდა ღირებულება | | 2,388 | 834,777 |
| ბალანსი | | **2,388** | **834,777** |
| III. საცნობარო მუხლები: | | | |
| ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში | | 6,624 | 3,802 |
| ამორტიზებული ძირითადი აქტივები | | 14,873 | 18,822 |
| ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები | | | 8,683 |

ხელმძღვანელი ______________________ პაატა კაკულია

საფინანსო სამსახურის უფროსი ______________________ ანა თოლორაია

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
№ 8
STATE AUDIT OFFICE OF GEORGIA

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტი

ფორმა N2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს

| ხარჯების ჩამონათვალი | განმარტება | დამტკიცებული გეგმით | დაზუსტებული გეგმით | ვალდებულება | მოთხოვნა | გადახდა (საკასო ხარჯი) | ფაქტობრივი ხარჯი | გადახდა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის (7-6) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| 1.ხარჯები | | 341,160 | 354,520 | 346,597 | 346,597 | 346,597 | 361,398 | 14,801 |
| 1.1 შრომის ანაზღაურება | | 253,110 | 261,345 | 261,344 | 261,344 | 261,344 | 261,344 | |
| *1.1.1.1 თანამდებობრივი სარგო* | | *233,640* | *228,285* | *228,284* | *228,284* | *228,284* | *228,284* | |
| *1.1.1.3 პრემია* | | *19,470* | *33,060* | *33,060* | *33,060* | *33,060* | *33,060* | |
| 1.2 საქონელი და მომსახურება | | 88,050 | 90,375 | 82,454 | 82,454 | 82,454 | 82,454 | |
| *შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება* | 4 | *34,200* | *36,225* | *36,224* | *36,224* | *36,224* | *36,224* | |
| *მივლინებები* | | *1,000* | *1,000* | *600* | *600* | *600* | *600* | |
| *ოფისის ხარჯები* | | *32,650* | *32,650* | *26,390* | *26,390* | *26,390* | *26,390* | |
| *ტრანსპორტ. და ტექნ. ქსპლ. და მოვლა-შენახვა* | | *2,000* | *2,000* | *1,815* | *1,815* | *1,815* | *1,815* | |
| *სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება* | | *200* | *500* | *325* | *325* | *325* | *325* | |
| 1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება | | - | - | - | - | - | 14,801 | 14,801 |
| 1.4 პროცენტი | | - | - | - | - | - | - | - |
| 1.5 სუბსიდიები | | - | - | - | - | - | - | - |
| 1.6 გრანტები | | - | - | - | - | - | - | - |
| 1.7 სოციალური უზრუნველყოფა | | 2,800 | 2,799 | 2,799 | 2,799 | 2,799 | 2,799 | |
| *სოციალური დაზღვევა* | | - | - | - | - | - | - | - |
| *დამქირავებლის მიერ გაწეული სოცდახმარება* | | *2,800* | *2,799* | *2,799* | *2,799* | *2,799* | *2,799* | |
| 1.8 სხვა ხარჯები | | - | - | - | - | - | | - |

ხელმძღვანელი _______________ პაატა კაკულია

საფინანსო სამსახურის უფროსი _______________ ანა თოლორაია

№ 8 STATE AUDIT OFFICE OF GEORGIA

25

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტი

ფორმა N2.1 - ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს

| არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი | განმარტება | დამტკიცებული გეგმით | დაზუსტებული გეგმით | ვალდებულება | მოთხოვნა | გადახდა (საკასო ხარჯი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.არაფინანსური აქტივები | | 2,200 | 2,200 | 2,190 | 2,190 | 2,190 |
| 1.1 ძირითადი აქტივები | | 2,200 | 2,200 | 2,190 | 2,190 | 2,190 |
| 1.1.1 შენობა-ნაგებობები | | - | - | - | - | - |
| 1.1.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი | | 2,200 | 2,200 | 2,190 | 2,190 | 2,190 |
| *სატრანსპორტო საშუალებები* | 5 | - | - | - | - | - |
| *სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი* | | *2,200* | *2,200* | *2,190* | *2,190* | *2,190* |
| 1.1.3 სხვა ძირითადი აქტივები | | - | - | - | - | - |
| 1.2 მატერიალური მარაგები | | - | - | - | - | - |
| 1.3 ფასეულობები | | - | - | - | - | - |
| 1.4 არაწარმოებული აქტივები | | - | - | - | - | - |

ხელმძღვანელი ______________________ პაატა კაკულია

საფინანსო სამსახურის უფროსი ______________________ ანა თოლორაია

№ 8
STATE AUDIT OFFICE OF GEORGIA

27

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტი

ფორმა N3 - ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს

| | |
|---|---|
| წმინდა ღირებულება 31/12/2011 | 23,888 |
| დებეტი | |
| მომუშავეთა ანაზღაურება | (261,344) |
| საქონელი და მომსახურება | (82,454) |
| ძირითადი კაპიტალის მოხმარება | (14,801) |
| *მ.შ.ფიზიკური ცვეთა* | *(14,801)* |
| სოციალური უზრუნველყოფა | (2,799) |
| აქტივების, ვალდებულებების უსასყიდლოდ გასვლა | - |
| *არაფინანსური აქტივები* | - |
| სულ სადებეტო ბრუნვა | (361,399) |
| კრედიტი | |
| ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება | 348,787 |
| აქტივების, ვალდებულებების უსასყიდლოდ მიღება | - |
| *არაფინანსური აქტივები* | *823,500* |
| სულ საკრედიტო ბრუნვა | 1,172,287 |
| წმინდა ღირებულების ცვლილება | 810,888 |
| წმინდა ღირებულება 31/12/2012 | 834,777 |

ხელმძღვანელი ______________________ პაატა კაკულია

საფინანსო სამსახურის უფროსი ______________________ ანა თოლორაია

№ 8 STATE AUDIT OFFICE OF GEORGIA

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტი

ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს

| არაფინანსური აქტივების დასახელება | ნაშთი წლის დასაწყისისათვის | მიღება | | გასვლა | | | ნაშთი წლის ბოლოს |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | შესყიდვით | იმავე დონის სახელმწიფო ერთეულიდან უსასყიდლოდ | იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებზე უსასყიდლოდ | სხვა ეკონომიკური ნაკადებით | ძირითადი კაპიტალის მოხმარება | |
| **ძირითადი აქტივები** | **23,888** | **2,190** | **823,500** | - | | **14,801** | **834,777** |
| შენობა-ნაგებობები | | | 823,500 | - | | 8,235 | 815,265 |
| მანქანა-დანადგარები და ინვენტარი | 23,888 | 2,190 | - | - | | 6,566 | 19,512 |
| *სატრანსპორტო საშუალებები* | *15,403* | | - | - | | *3,185* | *12,218* |
| *სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი* | *8,143* | *2,190* | - | - | | *3,325* | *7,008* |
| სხვა ძირითადი აქტივები | 342 | - | - | - | - | 57 | 285 |
| *არამატერიალური ძირითადი აქტივები* | *342* | - | - | - | - | *57* | *285* |

ხელმძღვანელი ____________________ პაატა კაკულია

საფინანსო სამსახურის უფროსი ____________________ ანა თოლორაია

სახელმწიფო აუდიტის სამსახური ✦ STATE AUDIT OFFICE OF GEORGIA ✦ № 8

28

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტი

ფორმა N6 - ანგარიში ავტომანქანების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს

| | მაჩვენებელთა დასახელება | საანგარიშო პერიოდის დასაწყისში (რაოდენობა) | | საანგარიშო პერიოდში მიღება (რაოდენობა) | | საანგარიშო პერიოდში გასვლა (რაოდენობა) | | საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (საკასო) | | | | საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (ფაქტიური) | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | მუშა მდომარეობაში | არამუშამდგომარეობაში | შეძენა | სხვა სახით მიღება | ექსპლუატაციიდან გასული | სხვა სახით გასული | სულ ხარჯი | მ.შ. შეკეთება | მ.შ. საწვავი | მ.შ. სათადარიგო ნაწილები | სულ ხარჯი | მ.შ. შეკეთება | მ.შ. საწვავი | მ.შ. სათადარიგო ნაწილები |
| 1 | სატრანსპორტო საშუალება სულ: | 2 | | | | | | 18,915 | 1,385 | 14,607 | 2,923 | 18,915 | 1,385 | 14,607 | 2,923 |
| 1.1 | *მ.შ. მსუბუქი მანქანები* | 1 | | | | | | 6,879 | 400 | 5,905 | 574 | 6,879 | 400 | 5,905 | 574 |
| *1.2* | *ჯიპები და პიკაპები* | 1 | | | | | | 12,036 | 985 | 8,702 | 2,349 | 12,036 | 985 | 8,702 | 2,349 |
| 1.3 | *სატვირთო* | | | | | | | | | | | | | | |
| 2 | მანქანა-დანადგარები და საოფისე ტექნიკა სულ | 31 | | 3 | | | | | | | | | | | |
| 2.1 | *მობილური ტელეფონები* | | | | | | | | | | | | | | |
| 2.2 | *ტელევიზორები* | *1* | | | | | | | | | | | | | |
| 2.3 | *კომპიუტერები* | *15* | | *3* | | | | | | | | | | | |

ხელმძღვანელი ______________________ პაატა კაკულია

საფინანსო სამსახურის უფროსი ______________________ ანა თოლორაია

№ 8 STATE AUDIT OFFICE OF GEORGIA



29

## 1. ზოგადი ინფორმაცია

დეპარტამენტის დაფინანსების წყაროა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი; მას, როგორც მხარჯავ დაწესებულებას, ბიუჯეტის კანონით მიენიჭებული აქვს ორგანიზაციული კოდი (1058).

დეპარტამენტი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი დაწესებულებაა და „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" აფხაზეთის კანონის მე-11 მუხლის თანახმად ხელმძღვანელობს მისთვის მინდობილ მმართველობის დარგებს, ახორციელებს დარგთაშორის მართვას და ანგარიშვალდებულია როგორც აფხაზეთის მთავრობის, ისე საქართველოს შესაბამისი სამინისტროს წინაშე.
დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულებია:

1. დეპარტამენტის თავმჯდომარის აპარატი:
   ა) კადრებისა და საქმისწარმოების განყოფილება;
   ბ) საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება.
2. სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველო:
   ა) სამართალშემოქმედების განყოფილება;
   ბ) სამართლებრივი ექსპერტიზის განყოფილება.
3. არქივის განყოფილება.
4. საფინანსო სამსახური (მთავარი ბუღალტერი).

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2012 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ კანონით დეპარტამენტისათვის განსაზღვრული მომუშავეთა 25 შტატი სრულად იყო დაკომპლექტებული. შტატგარეშე მომუშავეთა ფაქტობრივმა საერთო რიცხოვნებამ კი 6 ერთეული შეადგინა.

## 2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

*მომზადების საფუძვლები*

წარმომადგენლობა ხელმძღვანელობს საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ" ბრძანებულებით დამტკიცებული დებულებით, ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" და სხვა მარეგულირებელი ნორმატიული აქტებით.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს ერთ წელს, რომელიც მთავრდება 31 დეკემბერს.

*შეფასებისა და წარდგენის ვალუტა*

წარმოდგენილი ბუღალტრული ანგარიშგების საანგარიშგებო ვალუტაა - ქართული ლარი.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
№ 8
STATE AUDIT OFFICE OF GEORGIA

*წინა პერიოდის ნაკლოვანებები*

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში კონტროლის პალატის მიერ წინა წლის აუდიტით გამოვლენილი უსასყიდლო სარგებლობაში არსებული აღურიცხავი უძრავი ქონება (ფართი, რომელზეც განთავსებულია დეპარტამენტი), შესაბამისი ჯგუფის ღირებულებით ბალანსში ასახვის მიზნით, შეფასებულია დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ 823,500.00 ლარად; ასევე შეფასებულია წინა წლის ინვენტარიზაციის შედეგად ზედმეტობის სახით გამოვლენილი საოფისე ინვენტარი სულ 3,000.00 ლარად. დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ განსაზღვრული ღირებულებებით გაზრდილია და დეპარტამენტის ბალანსის შესაბამის მუხლებში აღრიცხულია რეალურად არსებული აქტივები.

კორექტირებები საბალანსო მუხლების მიხედვით ქვემოთ არის წარმოდგენილი:

| დასახელება | 01/01/2012 ნაშთი წლის დასაწყისისათვის | კორექტირება | დარიცხული ცვეთა | 31/12/2012 ნაშთი წლის ბოლოს |
|---|---|---|---|---|
| შენობა-ნაგებობები | - | 823,500 | 8,235 | 815,265 |
| საოფისე ინვენტარი | - | 3,000 | - | 3,000 |

აუდიტორი:
გიორგი ფრუიძე

ასისტენტ-აუდიტორი:
ნაია ხოფერია

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში
აუდიტის დეპარტამენტი
10 მაისი 2013 წელი
ქ. თბილისი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
№ 8
STATE AUDIT OFFICE OF GEORGIA